ცნობა

დიმიტრი ქუმსიშვილი დაიბადა 1974 წლის 7 სექტემბერს ქ. თბილისში.

1992 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი; 1998 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით - აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი; 2007 წელს ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის პროგრამა „სერმა მენეჯმენტის სკოლა".

1995-1996 წლებში იყო სს „გაერთიანებული ქართული ბანკის" წამყვანი სპეციალისსტი.

1996-1997 წლებში - შპს „აუდიტკონსალტინგის" რევიზორი.

1997-1999 წლებში -ს სს „ქართუ ბანკის" ხაზინის უფროსი, 1999 წლიდან 2011 წლამდე გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე.

2010 წლიდან შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2000-2011 წლებში იყო თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2011-2012 წლებში - ჰოლდინგ „პალიტრა მედიას" ბიზნეს-განვითარების დირექტორი.

2012 წლიდან-დაწყებითი ბიზნესის და ინოვაციების საინვესტიციო ფონდის დირექტორი, შპს „რეშენალ სოლუშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

2012 წლის 30 ოქტომბრიდან 2015 წლის 17 მარტამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე.

2015 წლის 17 მარტიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი).

2015 წლის 1 სექტემბერს დაინიშნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.